№ 70 აპრილი 1, შაბათი 1889 აპრილი 1, შაბათი № 70

ГАЗЕТИ ДИРС

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

იმერია

გაზეთის დასაკვეთად და ფულის გასცემლად — დასახელებულ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1889

„ИВЕРИА“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე. ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 31 მარტი

როგორც სჩანს გაზეთებიდგან, საფრანგეთის მართებლობას ხელჩასაწიდებელი საბუთები ჰქონია, რომლებიც ბულანჟეს სამართალში მიცემა გადასწყვიტა. თუ გაზეთებს დავუჯერეთ, ბულანჟე გულ-მართალი რესპუბლიკელი ყოფილა და იმასა სცდილობდა თურმე, რომ რესპუბლიკა პირ-ქვე დაემხო. აი რას იუწყებიან პარიქიდგან: ბულანჟეს ჭბრალდება, რომ რესპუბლიკა უნდოდა დაემხო შეთქმულობის საშუალებით წარსულს წელში. ანარხისტს მორფის უპოვეს სია იმ კაცთა, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ შეთქმულობაში. ბულანჟემ რომ თავისი განზრახვა ვერ შეასრულა, ამისი მიზეზი ბულანჟესა და ფლოკეს დუელი იყო. დუელს შემდეგ თავისის ბოროტის წადილის შესრულება გადასდო 1890 წლის თებერვლამდე. თავისი განზრახვა ბულანჟეს ამ რიგად უნდა შეესრულებინა: შეთქმულნი უეცრივ უნდა შევარდნილიყვნენ ელისეს სასახლეში და ტელეგრაფები და ტელეფონები, რომლებიც ამ სასახლეშია გაყვანილი, უნდა გაეფუჭებინათ. ჯარში ბულანჟეს თანამოაზრენი ჭქადაგებდნენ თავისს პროგრამასა და მომხრეებსაც ჭშოულობდნენ. ისინი აგრეთვე ჭქრთამავდნენ მოხელეებს. რამდენისამე დღის წინად, სანამ ბულანჟე ბელგიაში გაიქცეოდა, იმის თავმჯდომარეობით ნაციონალურის დასის დეპუტატებს ხანგრძლივი სხდომა ჭქონიათ და ულაპარაკნიათ იმის თაობაზე, თუ როგორ მოვიქცეთ, მთავრობამ რომ მთელი გამგე კომიტეტი შეიპყრასო.

ამ გვარს ცნობებს იუწყებიან და თუ ეს ამბები მართალია, ბულანჟეს მიზეზი ჭქონია ბელგიაში გაქცევისა, რადგანაც კანონი სასტიკად ჩასწიდებდა ხელს და ასე თუ ისე იმის შეთქმულობა'ს ბოლოს მოუღებდა.

ბულანჟეს ბევრი გულ-მართალი მომხრე რესპუბლიკელი ჭყავდა და ამას შემდეგ-კი უეჭველია, რომ ესენი სრულიად ჩამოეცლებიან ამ დაუდგრომელს კაცს. შერჩებიან მხოლოდ რესპუბლიკის მოსისხლე მტრები. მაგრამ ესენიც დრომდე იძულებულნი იქნებიან ხმა გაიკმინდონ, რადგანაც საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ თვით რესპუბლიკას ხელის შეხებას არ ვუბირებთო. ამ სახით ამდენს აყალმაყალს ბოლო მოეღება და რესპუბლიკა კვლავ შეუდგება თავისს განკარგებასა და გაძლიერებას.

ა. ს—ი

ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 30 მარტს, ჩამოვიდა მოსკოვიდამ ტფილისში ქართულის ენისა და სიტყვიერების პროფესორად ნამყოფი ლაზარევის ინსტიტუტში ბ-ნი ილია ოქრომჭედლიშვილი.

*** ნამდვილად შევიტყეთ, რომ სომეხთ-გრიგორიანის სინოდის პროკურორად დაუმტკიცებიათ ამ თანამდებობის აღმასრულებელი სტატსკი სოვეტნიკი იუზბაშევი.

*** ლაზარევის ინსტიტუტში ახლად დანიშნულს პროფესორს, ბ-ნს ა. ხახანაშვილს, წარუდგენია ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოსათვის თავისი ახალი გამოკვლევა: „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“. ეს გამოკვლევა წარუდგენია ხახანაშვილს პროფესორობის მისაღებად. პროფესორების საბჭოს მოსწონებია გამოკვლევა ხახანაშვილისა, რომელსაც დიდის მოხერხებით გამოუკვლევია სხვათა შორის: როგორ ებრძოდა ერთმანეთს ბატონ ყმობის საქმეში ბიზანტიის ზედ-მოქმედება თვით ქართველთა განსაკუთრებულს ცხოვრებას.

*** ვინ არ იცის, რომ „ჩვენნი დედანი“ ჭორიკანაობაში დიდი ოსტატები არიან და ხშირად სულ უბრალო საქმეზე ერთს ორონ-ტრიალს გაჭმართავენ ხოლმე. ხშირად ერთიერთმანეთის ლანძღვით მოღალული დედაკაცები ქმრებსაც გაჭრევენ ხოლმე თავისს საქმეში და საჩივარი შეაქვთ ურთიერთზე. აი სწორედ ერთი ამისთანა საქმე ირჩეოდა 19 მარტს მომრიგებელ-სასამართლოს მეორე განყოფილებაში, ბ-ნ სლინკოსთან. ერთმანეთს უჩიოდნენ ვიღაც ბაბანასოვები ვიღაც აივაზოვებს, აივაზოვები ბაბანასოვებს და პოლიცია კიდევ ორივეზედ სჩიოდა, რომ ქუჩაზედ ერთი ალიაქოთი ასტეხესო. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ამ ერთის წლის წინად ბაბანასოვებსა და აივაზოვებს რაღაზედაც ლაპარაკი მოსვლიათ, ლაპარაკში ჭორი ჩარეული, ღამის თორმეტს საათზედ მთელი პატარა ტალახის ქუჩა ფეხზედ დაუყენებიათ და მიუყვიათ ხელი ერთმანერთის შემკობისათვის დაუბეჭდველ სიტყვების ლექსიკონით. აივაზოვების დამცველად წარმოდგა სასამართლოში ვიღაც გ., რომელიც არავის დაერიდა და ქუჩაში ჩხუბის დროს წამოსროლილი ლანძღვა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა. მოსამართლემ საქმის გარჩევის შემდეგ აივაზოვები — დედა და ქალები დამნაშავედ იცნო, რომ შეურაცხება მიუყენებიათ ბაბანასოვებისათვისაო და 14 დღით პოლიციაში დაპატიმრება გადუწყვიტა 30 მარტს.

*** ქართლის ზოგიერთ სოფლებიდამ მოგვდის ამბავი, რომ წრეევანდელ წელს ვენახების იმედი აღარა გვაქვს და ჩვენში რთველს მალე ვეღარ მოვესწრობითო. ვაზი თუ სულ არა, ნახევრობით მაინც გახმა ზამთრის ყინვების გამო და ეხლა ასაჩეხად გაგვიხდაო. იქ, საცა ჩვეულებად ჭქონდათ ვაზის დამარხვა მიწაში საზამთროდ, კიდევ გადარჩა ვენახები, ხოლო საცა ეს ჩვეულება არ იყო, იქ სამამულედ ამოვარდა ვაზიო.

*** **ტეტრბურგი:** 23 მარტს, ხუთშაბათს საღამოს, სხდომა ჭქონდა არხეოლოგიურის საზოგადოების სააღმოსავლეთო განყოფილებას. ამ სხდომაზე აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორმა ბ-ნმა ნ. ვესელოვსკიმ ფრიად საყურადღებო მოხსენება წაიკითხა რუსეთსა და სპარსეთს შორის განწყობილების შესახებ წარსულს საუკუნეებში, მე-XVI საუკუნის დასასრულიდგან. პროფესორს საბუთად ჭქონია რუსთა ელჩებისა და უბრალო მოქიქულების ეგრედ წოდებული «Статейные списки». პატიეცემულს მეცნიერს უკვე სრულიად განუხილავს ეს ძვირფასი საისტორიო მასალა და დასაბეჭდად დაუმზადებია. ეს ამბავი ქართულის ისტორიის მკვლეველთ დიდად სასიამოვნო ამბად უნდა მიიჩნიონ, რადგანაც ბ-ნ ვესელოვსკის შრომაში, უეჭველია, მოიპოვება სხვადა-სხვა ცნობა საქართველოს შესახებ, რომელსაც ამ საუკუნოებში ურთიერთობა და მისელა-მოსელა ჭქონია სპარსეთთან. თვით შესწავლა რუსეთისა და სპარსეთის დიპლომატიისა და ურთიერთობისა შუქს მოჰფენს დიპლომატიურს მისელა-მოსელას საქართველოსა და რუსეთს შორის. 23 მარტს პროფესორმა წაიკითხა ნიმუშად ერთი საელჩო აღწერილობა (1597—1599 წ.) და შეეხო, სხვათა შორის, ქართველთ მეფის ალექსანდრეს მიერ სპარსეთში გაგზავნილს ელჩსა და მეფის შვილს, რომლებიც რუსებს ყაზვინში შეჰხვედრიან. ქართველს ელჩს თავის მეფისაგან ძღვნად მიეყვანა შაჰ აბაზისათვის ერთი მშვენიერი ქართველი ქალი. შაჰ-აბაზს შემდეგში უამრავის ვერცხლითა და საქონლით დაუ-

ფელეტონი

უცხოთა ზოლის

კიდევ 2889 წლის დროიდამ.— ვარსკვლავთ-მრიცხველების განყოფილება. — მთვარედამ რაღა ისმის?— ღრუბლებზე გაკრული განცხადება.— ცა ჩვენ უნდა გვემორჩილებოდეს!— რედაქტორი საქმის შემდეგ.—ყმაწვილი ქიმიკოსი.—მარტივი სხეული მხოლოდ ერთია.—ცივის, გაყინულის ქვეყნების გათბობა.—ამერიკიდამ პარიქში მოლაპარაკება და ერთად სადილის ჭამა. — დედაკაცი მაშინაც დედაკაცად დარჩება.

. . . დიაღ, წარსულს ფელეტონში იმას მოგახსენებდით, რომ სმიტი, გაზეთ „მსოფლიოს მატიანეს“ რედაქტორი, 2889 წელს, ე. ი. ათასის წლის შემდეგ, რედაქციას ათვალიერებს. .

სმიტმა დაათვალიერა მოთხრობების და ახალ ამბების განყოფილება და ვარსკვლავთ-მრიცხველებთან გადავიდა...

აქ ორმოცამდე კაცია: ათიოდე უზარმაზარ ღურბინდებით ცას შეჰყურებს, დანარჩენნი-კი ღრმად ჩაფიქრებულნი სხედან და რაღაც ანგარიშსა და გამოკვლევაში არიან გართულნი...

— რა ამბები ისმის?—კითხულობს სმიტი.

— ცოტაოდენი ცნობები გვაქვს „მარიხისა“, დილის და საღამოს „ცისკრიდგან“.

— რა ამბავია?

— მარიხის შუაგულ სახელმწიფოში დიდი არეულობაა.

— იუპიტერიდამ? იქიდგან-კი არა შეგიტყვიათ-რა?

— ჯერ ვერაფერი. იქაური ნიშნები ვერ ახწევს ჩვენამდე, თუ ჩვენი იმათამდე, აქამდე სწორედ ვერ გაგვიგია.

— ეს არაფერი სასიამოვნოა!—სთქვა სმიტმა და ცოტა გამწყრალის სახით მიუბრუნდა მეცნიერებს, რომელნიც ღრმად ჩაფიქრებულნი იყვნენ რიღასიც გამოკვლევაში.

— ბატონებო, ეს რა მესმის? იუპიტერისა ვერაფერი ვერა გაგვიგიარაო? კიდევ დიდი ხანი იქმნება ესე?..

— ოცი წელიწადია, ამ ერთს საქმეზე ხართ საკუთრად მიყენებული და ჯერ აქამდე ვერაფერი გაგიწყვიათ?— მიუბრუნდა სმიტი ერთს მეცნიერს, რომელსაც ეს საქმე ჭქონდა ჩაბარებული.

— მართალიაო, — უპასუხა ამანაც:—მაგრამ ეს სულ იმისი ბრალია, რომ ჯერაც ღურბინდები სრულად არ გვივარგა ამ საქმისთვის, თუმცა დღევანდელს ღურბინდებს ერთ ვერსტამდე სიგძეცა აქვთ...

— გესმით!—გაცხარებული მიუბრუნდა სმიტი მეორე მეცნიერს:— ღურბინდი არ ვარგაო, ეს ხომ თქვენი საქმეა...

ამას პასუხი არც-კი ათქმევინა და საჩქაროდ ისევ პირველს მეცნიერს მიუბრუნდა:

— კარგი, ვთქვათ, იუპიტერთან ვერა გაგიწყვიათ-რა. აი ამ მთვარეს მაინც მოუხერხეთ რამე, ამისი მაინც შეიტყეთ რამე სწორედ?

— აქაც ბევრი არაფერი.

— არ მესმის, ღმერთმანი, მარიხიდამ ამბებს გვატყობინებთ და ეს მთვარე ხომ უფრო ახლოა?.. აქაც ხომ ღურბინდებს არ დასდებთ ბრალსა?

— ღურბინდები რა სათქმელია, აქ ჩვენ სულ სხვა გვაბრკოლებს: მთვარეზე ადამიანი არა სჩანს, ხალხი არა სცხოვრებს და აბა რა ამბებს შევიტყობთ...

— მაშ დარწმუნებულნი ხართ, რომ მთვარეზე სრულიად არავინა სცხოვრებს?

— მთვარის იმ მხარეზე-კი, რომელსაც ჩვენკენა აქვს მუდმივ პირი, სწორედ არავინ არის, და მეორე მხარისა-კი ვინ რა იცის!

სმიტი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე, თითქოს თავისს გულში ლაპარაკობსო, სთქვა:

— არ შეიძლება ისეთი რამ მოვახერხოთ, რომ მთვარე გადმოვაბრუნოთ?

— თქვენი მოსაზრება მართლა რომ ჭკუაზე ახლოაო,—უპასუხეს მეცნიერებმა და უპასუხეს ისეთ ნაირად, თითქოს ამის თქმა უნდოდათ: თქვენს სიტყვებში ისეთი რამ არა არის-რა, რომ შესაძლისი არ იყოსო...

**

სმიტი სხვა დარბაზში მიეჩქარება... დარბაზიო? დარბაზი რა პასუხია, დარბაზი-კი არა, ერთი უშველებელი, თვალ-გადუწვდენელი შენობაა, რომელსაც თითქმის ერთ ვერსამდე სიგძე აქვს. ეს შენობა „ციდამ განცხადებების“ შესატყობინებელი განყოფილება გახლავსთ.

ეს რაღა უცნაური ამბავია? დიაღ უცნაურია და ახალიც, თვით ბ-ნ სმიტის მოგონილი და საქმეში გამოყენებული. ძალიან კარგი და საუცხოო რამაც არის, სწორედ მოგახსენოთ.

გახსოვთ, უწინ, ამ ათასის წლის წინად, ქუჩებში კედლებს რომ აჭრელებდნენ ხოლმე წითელ-ყვითელ ქაღალდზე დაბეჭდილ განცხადებებით? მერე რა?—ერთს განცხადებას ხშირად ოცი, ოც-და-ათი კაცი ძლივს წაიკითხავდა. და თუნდა ათასს კაცსაც წაეკითხა, მაინც რა სათქმელია: დღეს განცხადება, სმიტის წყალო-

№70-90

საჩუქრებია ქართველის მეფის შვილი, ხოლო ტურფა ქალი ცოლად შეურთავს. იმ საელჩოაღწერილებაში რუსის ელჩები მოგვითხრობენ, რომ ოფიციალურის დარბაზობის დროს ქართველთ მეფის შვილის ზემორე დაგვაყენეს, საპატიო ადგილზეო, ხოლო ქართველის მეფის შვილი, თუ ბატონიშვილი ბუხარის ელჩის ზემორე იდგაო. შაჰ-აბაზი, როგორც საელჩო აღწერილება მოგვითხრობს, სცდილობდა ეჩვენებინა და დაემტკიცებინა რუსებისათვის თავისი პატივისცემა, იგი სცდილობდა რუსები დაეახლოვებინაო. რუსთა საელჩო აღწერილება პირველად 1588 წლიდგან იწყება. სააღმოსავლეთო განყოფილებამ დაადგინა დაჰბეჭდოს ბ-ნის ვესელოვსკის შრომა ცალკე დიდ წიგნად თავისს შრომების მე-21 ტომად.

*** **იქიდამგე:** 30 მარტისათვის დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება იმის გამო, რომ საზოგადოების შემდეგი მოწერილება მოსვლია საიმპერატორო არხეოლოგიურის კომისიისაგან: „მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება და ბრძანა:

ა) სახელმწიფო და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მამულებში საარხეოლოგიო ძიების უფლება და ნება. რთვა შეუძლიან გასცეს მხოლოდ საიმპერატორო არხეოლოგიურმა კომისიამ. ყველა დაწესებულება და კერძო კაცი, ვისაც განზრახვა აქვს მიწა სთხაროს საარხეოლოგიო ნაშთთა საძიებლად, უნდა მოელაპარაკოს იმ მთავრობას, რომელსაც მამული ეკუთვნის, და წინასწარ უნდა დაეკითხოს საიმპერატორო არხეოლოგიურს კომისიას. რაც რამ შესანიშნავს საარხეოლოგიო ნივთს იპოვნიან, უნდა გაუგზავნონ საიმპერატორო არხეოლოგიურს კომისიას, რომელმაც მისს უდიდებულესობას უნდა წარუდგინოს

ბ) ძველის ნაშთების აღდგენისა და განახლებისათვის საჭიროა თანხმობა საიპერატორო არხეოლოგიურის კომისიისა და საიმპერატორო სამხატვრო აკადემიისა.

საიმპერატორო არხეოლოგიურს კომისიას საჭიროდ მიაჩნია საარხეოლოგიო საზოგადოებას მოელაპარაკოს იმ საგნების შესახებ, რომელიც ზემოდ მოყვანილ ბრძანებაშია მოხსენებული და სთხოვს საზოგადოებას თავისი წარმომადგენელი გაჰგზავნოს საარხეოლოგიო კომისიის ბჭობაზე დასასწრებლად აპრილის 17—24-ს“.

*** კავკავში მრავლად გამოჩენილან ოსნი და ინგუშნი. რომელნიც ჰყიდიან თურმე ქუჩა-ქუჩა ძველებურს არხეოლოგიურს ნივთებს, ოქროსასა და ვერცხლისას, ბრინჯაო-რკინისას, ქვისას, ქარვისასა, ოქვალისა და თერდოლიგისას. ყოველ ამ ნივთებს ოსნი და ინგუშნი ჰპოულობენ ძველის-ძველ საფლავებში, რომლებსაც სთხრიან მთავრობის დაუკითხავად. ამ საფლავებში ბევრად ჰპოულობენ ძველს ფულს ბერძულსა, რომაულსა და ქართულს. ყოველ ამას დიდ ფასად ჰყიდიან უცხოელ მოგზაურებსა და თვით მდიდარ კავკაველებზე. ამ სახით კავკავი ლამის არხეოლოგიურ ქალაქად გადიქცეს. სახლში ბევრს კაბინეთი სავსე აქვს ძველ-ს ნივთებით. ქალებს ახალ სამაჯურების მაგიერ ძველი სამაჯეები აქვთ გაკეთებულები (გაზ „Рус. Вѣд“.).

წერილი გურიიდგან

შარშან იყო-და ყაჩაღებისაგან აღარა გექონდა სულის მოთქმა. ნამდვილი ყაჩაღობა ხომ იყო ზოგიერთ ალაგას და ნამდვილი ზარალიც მოიტანა. მაგრამ რაც იყო, იმაზედ ათჯერ და ასჯერ მეტად გააზვიადა ეს ამბავი ხალხის შეშინებულმა გონებამ. ხანურიები ებლანდებოდათ თვალში, ვითომ-და ტყეებში იმალებიან და ქრისტიანების სისხლს დაეძებენო; ხან ეიღაც გამწყრალ კაცებს ასახელებდნენ ტყეებში, რომლებიც თავს იფარავენ და არავის არას ავნებენო. ყაჩაღებიც სწამდათ, მაგრამ ვერ ადასტურებდნენ, რადგან საქმით არა მტკიცდებოდა მათი ყოფა და ზარალი არაფერი სოფლად არ მომხდარა. ამ რიგად შეთხზეს, ვითომ ტყეებში ავ-სულებიც არიან ჩასაფრებულნი. უსწავლელი ხალხი ხომ მარდია საქმეს რამე კუდი გამოაბას. ამ კუდის გამობმამ არა ერთი სატირალ-სასაცილო სცენა ჩაადენინა გურულებს წარსულს წელს. გავარდებოდა ხმა რომელსამე სოფელში, რომ ამა-და ამ ტყეში ვილაცები იმალებიან (ქაჯი, ყაჩაღი, ურია, თუ გამწყრალი კაცები, არ იცოდნენ), აიყრებოდა მთელი სოფელი და შემოერტყმოდა დასახელებულს ტყეს „მოსარეკად“. მორეკდნენ ტყეს და როცა შიგ ვერავის ნახავდნენ, გამობრუნდებოდნენ შინისკენ ცოტათი გულ-დაწყნარებულნი. მაგრამ ახლა სხვაგან მეორეჯერ გაეარდებოდა: დედაკაცს დახვედრიან გზაზედ და თუ დედაკაცს თავისთვის არ ეშველნა, დაჭერას უპირობდნენო. ახლა იქითკენ მიასქდებოდნენ ყველანი. მაგრამ ვერ იქმნა და ვერა: ამ საიდუმლოებით მოცულ კაცებს ორმა და სამმა ერთად თვალი ვერ მოჰკრა, თითო-თითო-კი ბევრი იყო მნახველი და ბევრ რამეებსაც მოუბნობდნენ მათ შესახებ, მაგრამ ღმერთმა იცის, რამდენად მართალი იყო მათი ნაამბობი. ამ უჩინარობამ უფრო გააღიზიანა კიდევ ხალხი ბოროტ კაცების ძებნაში სანთლით ეძებდნენ იმათ, ვინც ბოროტ კაცებს რაიმე შემწეობას აღმოუჩენდა. ერთმა უცხო სოფლელმა მეორე სოფელში გზა დაჰკარგა და ბილიკ-ბილიკ მიდიოდა. მოჰკრეს მას თვალი ორმა ქალმა და შეჰქნეს საშინელი კივილი. ამ კივილზე თაკი მოიყარა სოფელმა და დაედევნა. კივილისაგან შეშინებულს მგზავრს დაეწიენენ, გაბაწრეს და წარუდგინეს ადგილობრივს მამასახლისს. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი მთაში ყოფილიყო, ცხენი მიებარებინა საძოვარზედ, შინისაკენ მოდიოდა და არავითარი ბოროტ-კაცობა გულში არ სდებოდა. ასე აღმოჩნდა, მაგრამ ჯიბეს მაინც გააკვრევინეს ხელი.

ერთს კვირა დღეს წირვის შემდეგ ერთმა გლეხმა სოფელს შეატყობინა: წუხელ შუაღამისას ასტყდა ერთი ქვების რახა-რუხი ჩემის ოდის ყავარსა და კედლებზედაო. გამოვედი გარეთ და არავინ დამიხვდაო. ეს იყო და ეს. რამდენიმე შეიარაღებული სოფელი რამდენისამე დღის განმავლობაში ყარაულად უდგა ნაჩენებ სახლს მაგრამ ამათაც ვერა გაარიგეს-რა.

ყველა ზემო თქმულიდამ ორი რამ შესაძლოა დავასკვნათ. პირველად მინდა დავანახვო მკითხველს, რომ შიშს დიდი თვალები აქვს. ამიტომ მთელი შარშანდელი წელიწადი გურულები აწეწილ-დაწეწილნი და მუშაობას მომცდარნი დარბოდნენ ტყეებსა და სოფლებში. მეორეც ის არის, რომ ხალხი ჯერ კიდევ ბეჯითი მეთვალყურე ყოფილა თავისის ცხოვრებისა. თვალ-საჩინო ყაჩაღობა-კი იყო გავრცელებული მარტო ჩვენის სამაზრო ქალაქის ოზურგეთის გარშემო, სადაც, შიშს რომ თავი გავანებოთ, ზარალიც საგრძნობელი მოიტანეს. აი ამ თითო-ოროლა ღორმა აამტუტა და გასვარა მთელი გურია და შესძინა ის ჭირი, რომელიც ამ წელს სალავათს აცლის ხალხს. ამ ადგილებში ყაჩაღები გასაოცარის თავხედობითა და შეუპოვრობით მოქმედებდნენ და უსირცხვილოდ ჰყვლეფდნენ ქვეყანას. დღე, ღამე, მდიდარი, ღარიბი, ნაცნობი და უცნობი სულ ერთი იყო იმათთვის. შუადღისას არხეინად გამოეჭიმებოდნენ ნასაკირალის გზაზედ მგზავრს წინ და აცლიდნენ, რაც რომ ებადა. როცა ერთს სძარცვავდნენ, თუ მეორე მგზავრი იმ დროს თავს წამოადგებოდათ, ყაჩაღები თავსაც არ მოიფხანდნენ, პირ-იქით, უბრძანებდნენ თავისს მსხვერპლს მოეთმინა, სანამ პატივით არ გაისტუმრებდნენ პირველსავით. ერთ მექოთნეს ოზურგეთს საპარასკეოდ გოდრით ქოთნები მიჰქონდა. შეხვდნენ ყაჩაღები, გაჩხრიკეს მექოთნე და რომ ვერაფერი საკბილო უნახეს, გულის ჯავრი იმით იყარეს, რომ ნასაკირალის ფერდობაზედ დაუგორეს ქოთნები და ხარხარებდნენ, როცა ქოთნების ნამსხვრევები ერთმანეთს თავზედ ახტებოდნენ.

მკითხავთ უეჭველია, თუ რამ გაათამამა აგრე ეგ ბოროტი კაცები და ამასთან ის ხალხი, რომელიც, სადაც ყაჩაღების ხსენებაც არ იყო, მათ ძებნაში თავ-პირს იმტვრევდა, რად უცქერდა გულ-გრილად ამ ავაზაკების საბუდარ ადგილებსო? პასუხს მართალს მოგახსენებთ, თუ სიმართლისათვის ენას არ მომჭრით. გურულმა ყაჩაღმა კარგად იცის, რომ მას ვერავინ წარბს ვერ შეახრევინებს, თუ არა ისევ გურული ხალხი ერთად აღებული. მთავრობის არც ერთ განკარგულებას ყაჩაღების წინააღმდეგ არასოდეს მათი ბოროტ-მოქმედებანი არ შეუფერხებია, როცა ხალხი არ მოუწოდებიათ საშველად. თითო-ოროლა ყარაული ვერას გზით ყაჩაღების გზასა და კვალს ვერ იგებს და ისიც არასოდეს, მაგალითი ერთი-ორმა ამ ხერხით ერთი ყაჩაღი ან დაეჭიროთ, ან მოეკლათ ჩვენში. სწორედ იმ ადგილებში, სადაც შარშან ყაჩაღობა ჰმეფობდა, ხალხის მეთვალყურობა გაუქმებულია. მაგივრად იქ უყენიათ რამდენიმე ყარაული, რომლებმაც უნდა ბოროტ კაცებს თვალი ადევნონ. ამასთან ეს ადგილები სოფლებზედ დამორებულია. ყაჩაღმა იცის გამოცდილებით, რომ მთელს გურიაში ისე სუსტად გამაგრებული ადგილი არ მოიპოვება, როგორც ეს ყარაულებიანი ადგილები, და სწორეთ იქითკენ გადიტანა თავისის ბოროტების სარბიელი. მიჩვენეთ აბა ერთი მაგალითი შარშანდელის ყაჩაღობით განთქმულ წლიდგან, რომ იქ, საცა ხალხია თავისისავე თავის ყარაული, ერთი ავ-კაცობა მაინც ჩაედინოთ ყაჩაღებს.

შარშანდელი წელიწადი ხომ ყაჩაღობისაგან ვიყავით დაწიოკებულნი და დატანჯულნი, წრეევანდელს წელს არა ნაკლები უბედურება გვადგას მისის მოსასპობ ზომების გამო. რომ იკითხო გურიაში: რომელ წელიწადს ამჯობინებთ, შარშანდელს—ყაჩაღობისას, თუ წრეევანდელსაო, უეჭველად გიპასუხებენ—შარშანდელსაო. ყაჩაღები ორჯელ მეტიც რომ ყოფილიყო, ასე სამძიმო მაინც არ იქნებოდა ჩვენთვისაო. ჩვენი ნება თუ ყოფილიყო, ვიცოდით რა წამალიც იყო საჭირო, მაგრამ ეხლა რა გვეთქმის, რომ ტყავიც გვძვრება და იმ „ყაზირალებსაც“ ვერას აკლებენო. საქმე ის გახლავთ, რომ ხალხის მეთვალყურობა გაუქმებული იქმნა და ყოველ სოფელში გამწესებულია სამ-სამი ყარაული, რომლებიც სოფელმა უნდა შეინახოს თავის ხარჯით. ეს ხარჯი თითო სოფელს უჯდება ორმოც-დარვა თუმანი. ამოდენა ფული სხვა მრავალ გადასახადთან ამ წუწურაქა წელიწადში უჭ რამოდენა ტვირთია სოფლებისათვის!! ამასთან ეს გადასახადი ედება განურჩეველად ყველა სოფლებს, ყაჩაღების აღმზრდელსა და შემნახველ სოფლებსაც და მშვიდსა და წყნარ სურებსა და ბევრ მის გვარს სხვებსაც, სადაც არასოდეს ყაჩაღის ხსენებაც არა ყოფილა. გარდახდა ამ ფულებისა ხომ რაც არის—არის, ეხ-

---

ბით, ისეთს ალაგასა და იმოდენად გამოჩნდება ხოლმე, რომ ათასს კაცსკი არა, მთელს ქალაქს, რამდენსამე ქალაქსაც ერთად შეუძლიან ამ განცხადების დანახვა და წაკითხვა. აი როგორა ხერხდება ეს:

იმ შენობაშა, რომელსაც ჩვენ ზემოდ „ციდამ განცხადებების“ შესატყობინებელი განყოფილება დავარქვით, მომართულია ერთ-გვარი იარაღები. ეს იარაღები სარკეებითა და მინებით ისეა მოწყობილი და გამართული, რომ აქედამ შეგიძლიანთ, რა სიშორეზედაც გნებავთ, გადიტანოთ შუქი და ყველაფერი, რაც იარაღში გექმნებათ ჩაყენებული, ისე ნათლად და ცხადად აღიბეჭდება, გამოიხატება ამ შორს გატანილს შუქზე, რომ გეგონებათ თვალ-წინა გვაქვსო.

აი სწორედ ამ სახით განცხადებები გადააქვთ ღრუბლებზე და ეს შეშუქებული განცხადება მთელს ქალაქს თავს დასცქერის და ძალა-უნებურად ყველას ყურადღებას იზიდავს.

მხოლოდ აი ერთი რა დაბრკოლებაა, რომელიც ჯერც ვერ სმიტსა და ვერც იმის მეცნიერებს თავიდამ ვერ მოუშორებიათ. ამ განცხადების გამოფენა შეიძლება ღრუბლიან და მხოლოდ ღრუბლიან დღეს, მოწმენდილ ცაზე-კი ვერა, რადგან სარკის შუქი მეტოქობას ვერ უწევს მზის ბრწყინვალე სხივს.

აი ამიტომაც, სმიტი რომ „ცის განცხადების“ განყოფილებაში შეიდა, ყველა თანამშრომლები გულ-ხელდაკრეფილნი ისხდნენ უსაქმოდ. სმიტი, რასაკვირველია, მალე მიჰხვდა ამ უსაქმობის მიზეზსა და არაფრად იამა:

— დიახ, მოწმენდილი, მოულრუბლავი ცაა ამის მიზეზი, — ამბობდა თავისთვის სმიტი: — ეს არაფერი სასიამოვნო ამბავია! რითი ვუშველოთ საქმეს, რა მოვაგვაროთ? წვიმა მოვიყვანოთ? წვიმის გაჩენა ადვილი საქმეა, მაგრამ ეს არის მხოლოდ, წვიმით ჩვენს საქმეს ეშველება რამე? ჩვენ ღრუბელი გვიჭირს და არა წვიმა...

— გაისარჯეთ, — მიუბრუნდა სმიტი მთავარ-ინჟენერს: — და მოელაპარაკეთ ამ განყოფილების გამგეს, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს. უთხარით ჩემ მაგიერ, რომ დრო არის ახლა-კი ვისწავლოთ და ჩვენს ნებაზე გავაჩინოთ ხოლმე ღრუბლები, თორემ რასა ჰგავს, ცაა ჩვენი ბატონი: უნდა ვუცადოთ, აცა როდის მოიღრუბლებაო, რომ ჩვენი განცხადებები გამოვაქვეყნოთ!..

**

სმიტმა გაათავა რედაქციის დათვალიერება, გაისეირნა და ოთხი საათი იქმნებოდა, რომ სმიტი შინ დაბრუნდა. ეს დრო იყო დანიშნული მოსალაპარაკებლად თუ სანახავად, ვისაც სმიტთან რაიმე საქმე ჰქონდა. საქმე-კი ბევრსა ჰქონდა და ყოველ დღე დიდ-ძალი ხალხი ელოდა ხოლმე სმიტს დანიშნულს საათზე. ვინ იცის, რა ჯურის ხალხი არ იკრიბებოდა აქა და რა გვარ საქმეს არ ურჩევდნენ სმიტს.

აი, მაგალითად, ერთმა ექიმმა თავი მოაბეზრა სმიტს, რომ უებარი წამალი მოვიგონე სურდოსიო; მეორემ კიდევ, მხატვარმა, ქებით აიკლო, რომ ჩემისთანა ლონის-ძიება ჯერ არავის გამოუნახავს დაძველებულისა და გადასულის მხატვრობის აღსადგენადაო.

არც ერთსა და არც მეორეს სმიტმა ყურადღება არ მიაქცია.

აი წამოდგა წინ ერთი ყმაწვილი კაცი, ღია და ჭკუის გამომეტყველის სახით, და მოახსენა სმიტს:

— მე ქიმიკოსი გახლავართ და თქვენთან სათქმელი რამე მაქვს.

— რა გნებავთ?

— მოგეხსენებათ, რომ ერთ დროს მეცნიერები ჰფიქრობდნენ, ვითომ სამოც და-ორი მარტივი ქიმიური სხეულიაო, ე. ი. ისეთი სხეული, რომლის განაწილება შეუძლებელი მიაჩნდათ ამ ასის წლის წინად სამოც-და ორიდამ მეცნიერებაათზე ჩამოვიდა. დღეს, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, მხოლოდ სამი სხეული-ღა დარჩა, რომელიც ჯერ ვერ გაუნაწილებიათ.

— მერე?

— მერე და მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ეს სამი სხეულიც მარტივი-კი არა, რთულია, და სულ არ გაივლის რამდენიმე თთვე, შეიძლება კვირა, იქნება დღეც, რომ ამ სხეულებსაც ნაწილ-ნაწილ დავყოფ.

— მერე ჩემგან რა გნებავთ?

— ფულია ეხლა ჩემთვის საჭირო, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანო.

— მერე რა გამოვა მაგ თქვენის საქმიდამ? ვისთვის ან რისთვის არის გამოსადეგი?

— რა გამოვა? — ისა, რომ მაშინ აღარ გაგვიძნელდება ჩვენ თითონ ჩვენის საკუთარის ხელით გავაკეთოთ, შევადგინოთ ქვა, ხე, მადნეულობა, ადამიანის სხეულის ასოები..

— როგორ? ხორციც, სისხლიც!.. გააწყვეტინა სიტყვა სმიტმა. ახლა თქვენ იმის დაჯერებასაც მოინდომებთ, რომ ცოცხალის კაცის მომზადებასაც შევიძლებთ ჩვენის საკუთარის ხელითაო.

— რატომაც არაო! — უპასუხა ქიმიკოსმა და უპასუხა ისეთის რიხით, რომ ეტყობოდა, ყმაწვილს კაცს თავისის თავის იმედი დიდი ჰქონდა.

სმიტმა ათი ათასი თუმანი მისცა საქმის დასამთავრებლად და გარდა ამისა თავისის გაზეთის მუდმივ თანამშრომლად მოიწვია.

**

ლა მისი მობოჭვის წესი იკითხეთ, რამდენს ალიაქოთსა და უსიამოვნებასა ჰბადებს ქვეყანაში. ყოველ თთვიურია საყარაულო გადასახადი. გუშინ რომ გადაიხადე აბაზი, ხვალ კიდევ მოგადგებიან კარზედ სოფლის მოხელენი და აგიტეხენ ერთ დავიდარაბას მეორე თთვის შესახვედრ ფულისათვის. ეხლაც გაისტუმრე და სულის მოთქმა ვერ მოგისწერია, ხედავ შენკენ მომავალ მოხელეთ. ოხ, ღმერთო ჩემო! არ იცი, რა ჰქნა.

ნეტავი, მკითხველო, ჩამოგახედათ ერთი ჩვენს სოფლებში და სხვა არა მინდა-რა: გაუძლებდა თქვენი პატიოსანი გული ამდენ სატანჯველის ცქერას, თუ არა? კარგი, ბატონო, ზარალსა და ხარჯს გასწევს კიდევ კაცი, თუ საქმე გაკეთდება რამე, მაგრამ სავალალოც ის არის, რომ არაფერი არა გათეთრდება, თუ არ გაფუჭდება კიდეც. ჯერ ერთი ეს, სად მთელის ხალხის სიფხიზლე და სად სამის კაცისა და ისიც ისეთის სამის კაცის, რომელთაც ისე გული არ დაეწვის ყაჩაღებისაგან, როგორც დანაკარგის პატრონთ და მათ მეზობელთ? მერე ამ სამ კაცს სხვა საქმეებიც აქვთ მინდობილი სოფლად გასაჩხრეკი, მაგ., არაყი არაევინ გამოხადოსო, თამბაქო არაევინ დასჭრასო და სხ. ყაჩაღებით რომ სოფელი აივსოს, ყველა სხვები შეიტყობენ და ყარაულებს სიზმარცხადიც არ ეცოდინებათ. აბა თქვენა გკითხავთ, ყაჩაღი გიჟია მივიდეს საყარაულოს კარებთან და შესძახოს შიგ: აქა ვარ, დამიჭირეო. პირ-იქით, ჭირივით მოერიდება ამ ალაგებს. სოფლელები-კი ყველგან არიან მოდებულნი და ვერსად გაეპარებათ ყაჩაღი. იქნება ვისმე იმისი იმედი ჰქონდეს, რომ სოფლელები ეხლაც არ დაიშლიან ყაჩაღების დევნასა და ყარაულებს ხელს მოუმართავენო. თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ ღრინიც არ ამოიღონ, თვალითაც რომ ჰხედავდნენ ყაჩაღს, რადგან ასე დიდი გადასახადი დაადვეს—ყარაულმა დაიჭიროსო. იქნება სისულელეც იყოს იმათის მხრივ ასეთი ჯიუტობა, მაგრამ რა გაეწყობა, ასე-კი ჰმოქმედებენ-და!..

ამ ზომას შეუძლიან ყაჩაღობისათვის მოაკიდებინოს ხელი იმათაც კი, ვინც ჯერ შინაობაში ოჯახობას მისდევს. ახლაც ხშირად გაიგონებ გუ

ქიმიკოსს შემდეგ სმიტის წინაშე ახლა სხვა წარსდგა და ესეც შემწეობასა სთხოვდა, რომ შეძლება მისცემოდა, გაეთავებინა ახალი და მეტად საყურადღებო საქმე.

— მოგეხსენებათ, როგორა ვხმარობთ ღვინის მზის სიცხოველესა და ქვეყანაზე მოგროვილს სითბოს. მთელი ეს სითბო-სიცხოველე, ერთად შეგროვილი მანქანების შემწეობით, დღეს იმოდენა სამსახურს გვიწევს, რომ მთელის წლის განმავლობაში შეგვიძლიან ერთ ნაირი სითბო ვიქონიოთ,—ჩვენთვის აღარც გაზაფხულია, აღარც შემოდგომა და ზამთარიც ზაფხულისაგან აღარ განირჩევა... დიახ, ამის მოხერხება ხომ დღესაც შეგვიძლიან და აი მე კიდევ უფრო მეტსაცა ვფიქრობ. რაც მეტი ძალა გადაგვრჩეს, სითბოდ ვაქციოთ და ჩვენის მანქანების შემწეობით მივმართოთ ცივ ქვეყნებში, ჩვენის დედამიწის თავსა და ბოლოში, იქ, სადაც დედამიწა მუდმივ ყინულით არის დაფარული, და იქ, სადაც დღეს ყინვისა და სიცივის გამო არც ერთი ცხოველი არსება არ

მოიპოვება, დედამიწა აჰყვავდება და ადამიანისთვის საცხოვრებელ ალაგად შეიქმნება.

— თქვენი აზრი მომწონსო,—უთხრა სმიტმა:—მაგრამ მაინც მადროვეთ-კი, რომ სხვებსაც მოველაპარაკო მაგ საგნის შესახებ. ერთის კვირის შემდეგ სწორე პასუხს შეგატყობინებთ.

**

სმიტმა ყველასთან მოილაპარაკა, გაათავა საქმეები. ცოტა არ იყოს დაიღალა და სავარძელში ჩაესვენა სულის მოსაბრუნებლად. თან ერთს დუჯმას თითი დააჭირა და უცბად მოისმა სასიამოვნო ხმა მშვენიერის მუსიკისა. სმიტის ოთახი მავთულით შეერთებული იყო საერთო სამუსიკო დარბაზთან, სადაც საუკეთესო და პირველნი მემუსიკენი მშვენიერ და გულის გასართობ ხმებს ადგენდნენ მათემატიკის შემწეობით და ამ სასიამოვნო ხმებით სმენას უტკბობდნენ გაზეთის „მსოფლიო მატიანეს“ ხელისმომწერლებს

ამ საუცხოო მუსიკით გართულმა

სმიტმა ველარც-კი გაიგო, რომ სრულიად დალამდა და ბნელაში ჰზის. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც კარების რახუნი მოისმა. სმიტმა მეორე დუგმას დაადო თითი, ჰაერი შეინძრა და თვალის დახამხამებაზე მთელი ოთახი ისე განათლდა, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო.

— ოჰ, თქვენა ხართ, ექიმო?—სთქვა სმიტმა, როდესაც სინათლეზე დაინახა კარებში შემოსული.

— მე გახლავართ, როგორ ბრძანდებით.

— არა მიშავს-რა, კარგად ეგრძნობ ჩემს თავს, მხოლოდ ცოტა ეს მადა არ მივარგა.

— მესმის, კუჭი მოგშლიათ. თქვენს თავს ძალას ატანთ, ძლიერ იღლებით, მაგისი ბრალია. მაგრამ არა უშავს-რა, ისევ მალე გამოვაბრუნებთ: თავის კვალში ჩავაყენებთ. დრო უნდა.

— მანამ-კი, თუ მოცალება გაქვთ, ჩემთან მიირთვით სადილი. მარტო ვარ და ძალიან მოწყენილიცა ვარ. ჩემმა ცოლმა პირობა მომცა, რომ

სადილი ერთადა ესჭამოთო, აი დრო თითქმის გადავიდეს და ის-კი არსადა სჩანს. ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩემი ცოლი პარიჟშია, და აი ფოტო-ტელეფოტში ვუყურებ და ველოდები, რომ ან ეხლა გამოჩნდება-მეთქი თავისს ოთახში, ან ეხლა.

ეჰ, ეტყობა, ყველაფერი გასწორდება, დედაკაცი-კი დედაკაცად დარჩება: თავისს სიტყვას ვერ აასრულებს და უბრალო რამე მიზეზის გამო სახლიც დაავიწყდება და ყველაფერი.

შუა სადილზე იყვნენ თითქმის სმიტი და იმისი ექიმი, როცა სმიტის ცოლი თავისს პარიჟის ოთახში გამოჩნდა.

— სად იყავ აქამდინ?—ჰკითხა სმიტმა თავისს ცოლსა ტელეფონში თითქმის ათასის ვერსტის სიშორეზე.

— შენ სადილი კიდეც გაგითავებია, ჩემო კარგო-და! განა ეგრე ძლიერ დამიგვიანია,—უპასუხა ცოლმა... ჰო, იმასა მკითხავდი,—სად იყავიო. მაღაზიებში დავდიოდი შლიაპის სასყიდლად. ოჰ, რომ იცოდე, რა მშვენიერი შლიაპებია ეხლა მოდაში!.. ისე გავები ამათ სინჯვაში, რომ საათი სრულიად დამავიწყდა...

—როდის აპირებ, ქალო, ახლა შინ დაბრუნებას?—ჰკითხა სმიტმა თავისს ცოლს.

— დღეს საღამოს.

— რამდენს საათზე მოგელოდო?

— თერთმეტზე.

— მაშ მშვიდობით, ნახვამდე, ეხლა-კი ცოტა საქმე მაქვს ჩემს ექიმთან და მომიტევე, რომ თავს განებებ...

—

ასე აგვიწერს ჟულ ვერნი ოცნებით შექმნილს რედაქტორს 2889 წელს, ე. ი. ათასის წლის შემდეგ. ერთის დღის აღწერა სრულიად საკმარისია, რადგან ყველა დღეები მთელის წლის განმავლობაში თითქმის ერთმანეთს ჰგვანან, გარდა ნაკიანის წლისა, როდესაც ერთი დღე ნიშა ხარივით მეტი გამოერევა ხოლმე. თვით სმიტი და იმის თანაშემწე მეცნიერნიც ბევრს სცდილობენ, რომ ყოველს წელს თანასწორად ჰქონდეს სამას სამოცდაცხუთი, თუნდ მეტი, დღე, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა, წელიწადისთვის ვერც დაუკლიათ დღე, ვერც მოუმატებიათ. იმედი-კი აქვთ, რომ ამასაც მოახერხებენ.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ!..

დონ-იაგო

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი

(ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845-მდე.)

ამ ქამად მცხეთაში წმ ნინოს დედათ მონასტერში იმყოფება ხაზინადრად პატივცემული ნისიმე მონოზანი, დეკანოზის იოსებ ციციშვილის ასული, რომელმაც შემთხვევით გარდმომცა წასაკითხავად და გარდასაწერად შემდეგი წარწერანი, რომელნიც ჩამოუტანია მას ჯვარის მონასტრითგან (იერუსალიმშია) 1858 წელს.

ამ პატივცემულმა მონოზანმა აგრე მიამბო ამ ხელთ-ნაწერის თავგარდასავალი. 1858 წელში მას უმგზავრნია ჯვარის მონასტერში და უნახავს იქ იმერეთის მეფის სოლომონ II მოძღვარი მღვდელი გერასიმე ყანჩაველი (?), რომელიც გაჰყოლია მას იმერეთითგან (1809 წ.). სოლომონის სიკვდილის შემდეგ (1815 წ.), მღვდელი გერასიმე ყანჩაველი ბერად შემდგარა ჯვარის მონასტერში და არხიმანდიტის ხარისხიც მიუღია.

თუმცა მამა გერასიმესთვის ბევრი უთხოვნიათ (?) ჯვარის მონასტრის მღვდელ მთავრად კურთხეულიყო, მაგრამ არ დასთანხმებულა.

მამა გერასიმეს დროს სცხოვრებდა ჯვარის მონასტერში ბერი ლორთქიფანიძე, რომელიც, როგორც შემდეგ გამოვიკითხე, ჰყოფილა ალექსანდრე. ეს ალექსანდრე ლორქიფანიძე იყო ტატუ ლორთქიფანიძის შვილი, იმერეთში ცნობილის ირაკლი ლორთქიფანიძის ძმა სოფ. საჩინოითგან (იმერეთშია).

როგორც მამა გერასიმეს უამბნია პატივცემულის ნისიმე მონოზანისთვის, ალექსანდრე ლორთქიფანიძე მეტად განვითარებული ჰყოფილა ქართულში, ბერძნულში, არაბულში, ოსმალურში და, თუმცა მის დროს სცდილობდნენ (?) ლორთქიფანიძე მღვდელ-მთავრად ეკურთხებინათ (?), მაგრამ უდროოდ ყვავილმა მოჰკლაო. (დრო არ ახსოვს ქ. ნისიმეს).

ეს წარწერა, საითგანაც ჩვენ პირი გარდმოვიღეთ ყოვლად უცვლელად, ეკუთვნის იმ ლორთქიფანიძეს და მონოზანისთვის სახსოვრად გარდმოუცია მამა გერასიმეს.

ჩვენი სურვილი იყო, პატივცემულს ნისიმეს ეს ხელ-ნაწერი, როგორც დედანი, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავისთვის შეეწირნა, მაგრამ, როგორც შეეტყეთ, ვერ შეელია, როგორც წმიდა ადგილითგან მოტანილს ნივთს, თუმცა-ღა შემდეგისთეის-კი აღგვითქვა.

ყველაზედ უფრო შესანიშნავია ამ ხელთ-ნაწერში შემდეგი ადგილი, რომელიც ხანძოს და შატბერდს შეეხება. დღემდის არავინ არ იცის გარდაწყვეტით, თუ სად იყო ეს ქართველთ შესანიშნავი ლავრა, საითგანაც გამოდიოდნენ ძველად საუკეთესო მთარგმნელები, მქადაგებელნი, მწიგნობარნი, მგალობელნი, წმინდა მამანი, მწერალნი და ჩვენის ერის სასიქადულო პირნი. არ ვიცით, თუ ვის დროს და ვინ დაარსა

ამ ხელთ-ნაწერითგან ცხადად სჩანს, რომ ხანძო და შატბერდი აღუშენებია არხიმანდრიტს გრიგორის, რომელიც გარდაცვალებულა ქორონიკონს 81,—ესე იგი 861 წელსა. იქვე ქვემოთ აქვს შენიშნვა, რომ „ქამსავე მას იყო ანჩას*) ეპისკოპოსი მაკარი და ნეტარისა მამისა გრიგორის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნეს მამასახლისნი ნათესავთ აზნაურთა შვილნი“ და სხ.

აქაც ცხადად სჩანს, რომ ხანძო და შატბერდი გრიგორი არხიმანდრიტის აშენებულია და ანჩის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა.

შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ თუ ხანძო და შატბერდი ანჩას არ იყო სადღაც მის მახლობლად იქნებოდა.

სანატრელია, ჩვენმა მეცნიერებმა ღირსეული ყურადღება მიაქციონ ამ საგანს და მით ქვეყანას დიდი ღვაწლი გაუწიონ.

რაიცა შეეხება მამა გრიგორი არხიმანდრიტის ვინაობას,—იმას ვიტყვით, რომ, ვინ იცის, იქნება საბერძნეთის თანამედროვე საეკლესიო მანუსკრიპტებითგან ან ქართველთ მონასტრების ხელ-ნაწერებითგან, რომელნიც პალესტინაში არიან გაფანტულნი ქართველთ სხვა-და-სხვა მონასტრებში, აღმოჩნდეს რამე.

ყოველ შემთხვევაში პირდაპირ შეგვიძლია ესთქვათ, რომ ხანძო და შატბერდი ეკუთვნის 861 წლის წინა დროს და ეს ღიდი რამ ამლაგმველი იარაღია ზოგიერთ პირთათვის, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ქართველობას წარსულში არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის კაცობრიობასთანაო. აი თვით ხელ-ნაწერიც:

„ქამსა ყოფისა ჩვენისასა წმინდასა ქალაქს იეროსალიმს 1845 წელსა მაისის 3. 4. და შემდგომადაცა რაოდენ გზისმე წარვედით მოხილვად ჯვარის მონასტრისა, რომელიცა არს სავალი ნახევარ ქამისა და ძველად დაფუძნებულ არს ქართველთაგან, ვითარცა

*) შავშეთშია.

აღწერს მოსრული აქ 1757—1758 წ. ქართველი მოგაკარ ეპისკოპოსი ტიმოთე.

ამა მონასტრის დიდსა ეკლესიასა შინა სრულიად იატაკი არს მოზაიკა, რომელსაც ქართულად უწოდებენ სოფიას კენჭს ფერად ფერადად შეწყობილი სხვა-და-სხვა სახეებად. ეს იატაკი ადგილ ადგილ არს გაშავებული. იტყვიან ფრიად ურწმუნოთა მოუსრავსთ მუნ მონაზონნი და მათითა სისხლითა შებღალული. მაგრამ არა იპოვების წერილით მოთხრობა, რომელს ქამს და ვისგან მომხდარა ძვირის მოქმედება ესე.

ამა ეკლესიის სამხრეთის კედელზედ საკურთხეველის მახლობელ არიან დახატულნი: დადიანი და მეუღლე მისი ხელითა მტვირთველნი მის მონასტრისანი და საშუალ მათსა მცირე ასული მათი, სამნი მოსილნი პორფირითა და სამთავრო გვირგვინებითა. ამაზედ ხუცურად სწერია: ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან და ცუათა ფარვათა თქვენთა მინდობილმან დადიანმან პატრონმან ლეონ დავახატვინე საოხად თანამემცხედრისა ჩვენისა და შემოგწირე კოცხერი*) ასის კვამლის კაცითა დედოფლის ნესტან დარეჯანის სასულიერო ქრისტეს ტკა. 331—1643. ხოლო ბერძნულად აწერია. arxon Tatianos. სამკვეთლოს კარს ზევიდამ სწერია: ქრისტე ადიდე დადიანი ლეონ. ხოლო სამხრეთის საკურთხეველის კარს ზევიდამ სწერია: ნესტან დარეჯან დედოფალი.

აქავე სამხრეთისკენ საკურთხეველის სვეტზედ დახატულია პორფირ გვირგვინოსანი დედოფალი მუხლზედ მდგომი წინაშე მაცხოვრისა და ზედ აწერია: ქართლის დედოფალი მარიამ ასული დადიანისა შეიწყალოს ღმერთმან ამინ[1]) ამის პირდაპირ შუა სვეტზედ არიან დახატულნი: წმინდა პროხორე და წმინდა ლუკა. ამავე სვეტის სამხრეთის მხარეს არის დახატული მუხლზედ მდგომი წინაშე მოწამისა სევასტიანესა, ვილაც იოანე გურული (მგალობელი), რომელისაც თვალები ამოუჩიჩქნიათ ურწმუნოთა ვიეთთამე.

ამავე სვეტის დასავლეთის მხარეს არიან დახატულ: წმინდა ევთვიმი[2]) და

*) სოფელია სამეგრელოში.

[1]) 1031—1068 წ. დედა ბაგრატ IV.

[2]) † 1028 თანამედროვე ბაგრატ IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბა. საშუალ მათსა მეხლზედ მდგომი შავწვეროსანი შვილითურთ და ზედ სწერია: ამისსა დამხატავსა არსენ ავრის, გრიგოლს და მისთა დედმამათა შეუნდოს ღმერთმან ამინ.

ამათსა პირდაპირ უკანას სვეტზედ მაღლა სწერია: დადიანმან ვიღეაწე და გავაკეთე გუმბადი და გვერდები ორი ათასი ასნალა და ექვსი ათასი ჩემი დავხარჯე ქრისტეს ტკია (331=1643 წ.). კვალად ხელჩართულია ნიკოლოზ.

ამის ქვემოდამ დახატულ არიან წმინდა მაქსიმე და იოანე დამასკელი, ამათ შუა მუხლზედ მდგომია მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა, თავზედ ხურავს მაღალი თეთრი არაღჩინი, შავი ძაღა*) შემოდებული, მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზვიდამ ასხია ჯიგრის ფერი ხირღა საერისკაცო თეთრისა სამხრით. ამას აწერია: ამისსა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ. შოთა რუსთაველი.

ამავე სვეტის სამხრეთის მხარეს ხატია თეოდორე მანგლელი რევისშვილი სქემოსანი კვერთხითა.

კვალად ამ სვეტის დასავლეთის მხარეს ხატიან მოციქულნი პეტრე და პავლე. ამათ შუა მდგომი მღვდელმთავარი, რომელზედაც სწერია: ამისსა დამხატავსა პატარიძეს დრანდელ მთავარ ეპისკოპოზსა გაბრიელს და მამა დედათა მისთა შეუნდოსთ ღმერთმან ამინ.

ამათ პირდაპირ დახატულ არიან ევთიმე და გიორგი[3]) მთაწმინდელნი ქართველნი.

ამას ზვიდამ კამარაში არიან დახატული: ანტონი მარტო მყოფელი მონოზონის მაზარით, ხოლო ისე წილკნელი, სტეფანე, ხირსელი და პირდაპირ აბიბოს ნეკრესელი სამღვდელთ მთავროს შესამოსლითა.

ამავე სამხრეთის მხარეს ბოლოს დოლაბში არიან დახატულნი რამდენიმე მონოზონნი და ზედ სწერია: ეს ბერები ქართველნი არიან-ო. გონებენ ამათის სისხლით შებღალულია ურწმუნოთაგან მოზაიკის იატაკი.

დასავლეთიდამ შეეოსავალს დიდს კარებს შიგნიდამ ჩრდილოეთის მხარეს დახატულ არიან სამნი მეფენი მოხუცებულნი გვირგვინ შარავანდედითა და პორტრეტებითა 1. მირიან 2. ვახტანგ გორგასლან 3. ბაგრატ კურატპალატი. ამათ ქართულადაც ბერძულადაც აწერია მათი სახელები Basileos**) და სხ. სრულიად ვერ წავიკითხეთ.

ამათ უკან ხატია წმ. პეტრე ქართველი და მის პირდაპირ სქემოსანი მონაზონი თვალებ-აკრული, თავზედ ჯვარი აქვს მიკრული უკანიდამ, ორისავე ხელით სანთლები უჭირავს ანთებული, ამაზედ ქართულად სწერია: იყენედ წელნი თქვენნი მორტყმულ და სანთელნი აღნთებულ.

ამავე კარებსა ზვიდამ ბერძნულად და ქართულად სწერია ესე: დაიხატა და განათლდა წმ. ესე და ყოველად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველს მყოფელისა ჯერჩინებითა და შეწევნითა ყოველად სახელოვანისა და ბრყინვალისა დადიანისა ლეონისათა, ხელითა და ფრიად ჭირ განცდილობითაყოვლად უღირსისა ჯვარისდა წმინდის გოლგოთის მამისა ნიკიფორესითა ჩოლოყაშვილის ომანის ძისათა მსასოებელისა და სარწმუნოსა. მის მონასტრისა, რომელმან გუმბადი და წმ. საკურთხეველი გავაკეთე ჩემის საფასითა ქორონიკოს ტკია.—331.—1643 წ.

ჩრდილოეთის მხარეს უკანას სვეტზედ სწერია: ჯვაროო პატიოსანო და წმინდანო მთავარ ანგელოსნო, მიქაელ და გაბრიელ შეიწყალეთ ჩოლოყაშვილი ომან და ძე მათი მოურავი ქაიხოსრო და თანა მემცხედრე მათი ბარბარე ამინ.

ამავე მხარეს უკანა დოლაბში დახატულ არიან პაატა და ქაიხოსრო წულუკიძენი ერთი მეორის პირდაპირ.

ჩრდილოეთის მხარის კედელზედ ბიბლიოთიკის შესავალს კარს ზვიდამ არიან დახატულნი მრავალნი სახენი და ზედ დაწერილნი არიან ქართულად კვალად სადაც წულუკიძენი ხატიან იმას ზვიდამაც, მაგრამ ტენისაგან მრავალი ადგილი დაშლილა და ჩამოცვივნულა სახენი და მათ ზედა ნაწერნი წაბღალულან, მხოლოდ სჩანს წერილი ქართულის ასოებითა და ძნელად გამოსაცნობია. უთუოდ აქ არიან დახატულნი ის სახენი, რომელთაც მოიხსენებს ტიმოთე მთავარ ეპისკოპოსი თვის მოხილვაში და სჩანს რომ მას ჟამს ადვილად წაიკითხებოდა, გარნა ჩვენ ვერ გავიგეთ.

ისევ სამხრეთის მხარე უფრო მთელია და აქამომდე კარგა შენახულა. შემდგომად ტაძრის მოხილვისა შეგვიძლვნენ საკურთხეველში, სადაც წმინდის ტრაპეზის ქვეშე არის ძირი მონაკვეთისა ძელისა ჭეშმარიტისა და მის ქვაზედ სწერია სახელი ჯვარის მამისა ნიკიფორესი ჩოლაყაშვილისა.

წმინდის ტრაპეზის მარცხნივ იატაკის მარმარილოს ქვაზედ სწერია: ესე წმინდა და ყოველად პატიოსანი მონასტერი მეფეს დავითიანს ბაგრატ პალატს აღუშენებია.

მუნით შთავედით საკურთხეველის ქვეშ შეკრულს კამარაში, სადაც არს სორო ძელის ჭეშმარიტის მონაჭერის ძირისა და მუნ დამ მიიღებენ მლოცველნი მიწასა ევლოგიად“.

ა. ქუთათელაძე

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

31 მარტი

ჩარჯუი. ავღანისტანიდგან იუწყებიან, რომ აბდურახმან-ხანმა ნება მისცა ავღანის თურქისტნისა და ჩარვილადუას მცხოვრებლებს ხელ-ახლად დაიწყონ ვაჭრობა ბუხარასთან.

პეტერბურგის 28 მარტი ბირჟა,

	მყიდველსა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	7 43
ტამოუნის კუპონები . .	— „	— „	148 3/4
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 12
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	270
—მეორისა	— „	— „	242 1/2
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყეთ (1889) წელიწადად. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

აპრილი 30 დღით არის.

1 დღე შაბათი. ლირსისა დედათა შორის მარიამ ეგვიპტელისა. კათოლ. წმ. სტეფანესი. მაჰმად. მე-13 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—39. მთვარე 13 დღისაა.

2 დღე კვირა. ბზობა. კათოლ. ბზობავე. სომეხ. ბზობა. მაჰმად. მე-14 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—40. მთვარე 14 დღისაა.

3 დღე ორშაბათი. ლირსისა შამისა ნიკეტა აღმსაარებელისა. კათოლ. წმ. პლატონისა. მაჰმად. მე-15 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—41. მთვარე 15 დღისაა.

გაბოსადგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.		
თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
პური 1-ის სარისხისა. .	3 1/2	„
„ 2 „	3	„
თონის წითელი პური 1-ის სარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3 1/2	„
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის სარისხისა . .	5	„
მე-2 სარისხისა . .	4	„
მე-3 — . . .	„	
ძროხის ხორცი 1-ლის სარისხისა.	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ცხვრის ხორცი 1-ლის სარისხისა.	12	„
ღორის ხორცი . . .	„	„
„ 2 „	„	„

განცხადებანი

წიგნის მაღაზია

ა. ი. ნოდიასი

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სასულიერო, სასულიერო-საეკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველ ნაირი სამწერლო მასალები და ნიგთები. გურიან-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიასვა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში.

(10—5)

საზოგადო წასასმელი ლიმონათა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მოლის ქვეყნის ძირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოვებთან ოდესას.

ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—22)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი პრ. ქუთათელაძისაგან	„ 40	მან. კაპ.
საქართველოს კალენდარი, გუნიასი	„ 45	
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . .	3 „	

იაფად გასაყიდია საქონლისა

მხოლოდ დღესასწაულამდე

ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქერსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლაბნრები, ჭურჭელი, საუმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი.

(10—6)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12 თვით . . .	10 მ.—კ.		6 თვით . . .	6 მ.—კ.	
11 „ . . .	9 „	50 „	5 „ . . .	5 „	25 „
10 „ . . .	8 „	75 „	4 „ . . .	4 „	75 „
9 „ . . .	8 „	— „	3 „ . . .	3 „	50 „
8 „ . . .	7 „	25 „	2 „ . . .	2 „	75 „
7 „ . . .	6 „	50 „	1 „ . . .	1 „	50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვლობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილები შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

РОСКОШНОЕ ИЗДАНІЕ.

Большая хромо-фото-литографическая точная копія съ знаменитой картины художника А. А. Иванова

«ЯВЛЕНІЕ ХРИСТА НАРОДУ».

Съ подлинника, хранящагося въ Московскомъ Публичномъ Румянцевскомъ Музеумѣ.—Огромныхъ размѣровъ хромо-фото-литографія художественно исполненная—Пояснительный историко-біографическій текстъ составленъ И. Ѳ. Токмаковымъ.

Картина **„Явленіе Христа Народу“**, *писанная художникомъ А. А. Ивановымъ въ теченіе* **тридцати лѣтъ**,—*сдѣлала цѣлую эпоху въ русской живописи; знаменитые художники, какъ-то: Крамской, А. Праховъ и многіе друг., нашли, что* **означенная картина болѣе проникнута истинно-религіознымъ духомъ и вѣрнѣе, въ историческомъ отношеніи, библейскому характеру событій**, *чѣмъ всѣ доселѣ извѣстныя заграничныя картины и иллюстраціи подобнаго рода, не исключая и* **Доре.**

Н. В. Гоголь въ своемъ знаменитомъ этюдѣ о картинѣ: **„Явленіе Христа Народу“** *раскрылъ намъ величіе истинно-русскаго и православнаго творчества Иванова и указалъ на него, какъ на главу русской живописи; это же подтверждаетъ и А. Праховъ въ статьѣ своей: Матеріалы для біографіи А. А. Иванова (жур. „Пчела“ за 1875 г. № 23 и № 24). Равно какъ о помянутой картинѣ были вполнѣ сочувственные отзывы въ журналахъ „Воскресный Досугъ“ 1867 г. № 231 и „Иллюстрированная Недѣля“ 1874 г. Нельзя такъ же не указать и на отзывъ Архимандрита Ѳеодора о картинѣ Иванова СПБ. 1859 г.*

Цѣна хромо-фото-литографической Картинѣ: *Лакированная на бумагѣ—1 р. 50 коп., на холстѣ 2 р. 50 коп. За пересылку и упаковку на скалкѣ 50 коп. Подписавшимся на 10 и болѣе экз.—20% уступки.*

Адресъ: Мясницкая, магазинъ церковныхъ утварей Сытовы сыновья, соб. домъ.

(5—3)

*) ბეწვის გარეშემო ნაკერები.

[3]) † 1066 წ.

**) წარწერა ბერძნულად არის.

Дозв. ценз. Тифлисъ 31-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месха). на Фрейлинской улицѣ. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე